ოქმი:**ო37. 3726168001**

თარიღი:**17/06/2026**

ოქმი N 15

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2026 წელი, 15 ივნისი

ქ. ოზურგეთი

16:00 -16:30-საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია **-** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ; მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: დ. კიკვაძე, პ. კიღურაძე, დ. ჭაკნელიძე, გ. ჩავლეშვილი, მ. ჩხიკვიშვილი, ტ .ბარამიძე, ბ. თოიძე, ქ. ხომერიკი, დ. ხურციძე.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა ინფორმაცია კვორუმზე, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 10 წევრი, სხდომა უფლებამოსულია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წერიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ”-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ”-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის (პროგრამული კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ”-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის

თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მარიკა ჩხიკვიშვილი

ბექა თოიძე

4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა -პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ" - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

5. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე"-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

6. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წაარმოდგენილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სტიქიის პრევენციის მიზნიტ, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე"-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

7. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, შემოქმედის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული(ს/კ. 26.18.497) მდებარე უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

8. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ"-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

9. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ"-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

10. ინფორმაცია-ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განათლების მიღების ხელმისაწვდომობის გაზრდის, მერის სტიპენდიის გაცემის საქმეში არსებული

მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ტატა ბარამიძე

11.ინფორმაცია- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა დახმარების პროგრამის მიმდინარეობის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ტატა ბარამიძე

სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ ბიუროს სხდომის დღის წესრიგის N1,2 და 3 საკითხებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საკრებულოში შემოსულია მუნიციპალიტეტის მერიის მომართვები, სადაც N1,2 საკითხის დამატებითი შესწავლის აუცილებლობით, ხოლო N3-საკითხის მერიის სტრუქტურული რეორგანიზაციის მოტივით ითხოვენ აღნიშნული საკითხების განხილვიდან მოხსნას. ბიუროს გადაწყვეტილებით საკითხები მოიხსნა განხილვიდან.

გადაწყვიტეს:

1. ბიუროს სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი N 1,2,3 საკითხები მოიხსნას განხილვიდან მუნიციპალიტეტის მერიის მომართვის საფუძველზე.

2. N4 საკითხი განსახილველად და ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე დასკვნის წარმოსადგენად დაეწეროს საკრებულოს მუდმივნოქმედ კომისიას (მ. ჩხიკვიშვილი).

3. N 5,6 საკითხები განსახილველად და საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე დასკვნების წარმოსადგენად დაეწეროს საკრებულოს მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიას (დ. ჭაკნელიძე).

4. N7,8,9 საკითებხი განსახილველად და საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე დასკვნების წარმოსადგენად დაეწეროს საკრებულოს მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიას (ბ.თოიძე).

5. N10,11 საკითხები განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დრის წესრიგში.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი